603/2 № 7023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲚᲝ

1

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲙᲕᲘᲠᲐ, 1961 Წ.
№ 1 (1637)
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-17 ᲬᲔᲚᲘ.
ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲞ.

Გ. ᲗᲐᲕᲫᲐᲫᲔ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲕᲥᲕᲘᲐ

ᲮᲐᲚᲘᲡᲝᲑ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲣᲚᲔᲑᲨᲘ
ᲛᲖᲔᲝᲑ,
ᲐᲮᲐᲚᲝ ᲬᲔᲚᲝ!
ᲛᲝᲒᲐᲥᲕᲡ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ
ᲓᲦᲔᲔᲑᲘ,
ᲒᲐᲘᲨᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲖᲔᲛᲝᲗ,
ᲒᲕᲔᲫᲐᲮᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲔᲑᲘ,
ᲐᲮᲐᲚᲝ ᲬᲔᲚᲝ!
ᲠᲐᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲡ
ᲛᲘᲕᲬᲕᲓᲔᲗ
ᲤᲠᲗᲐᲒᲐᲛᲝᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲤᲠᲘᲜᲓᲔᲗ
ᲣᲜᲓᲐ,
ᲨᲔᲕᲐᲡᲮᲐᲗ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ
ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ
ᲛᲣᲓᲐᲛ.
ᲓᲐᲕᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲣᲚᲘᲗ, ᲒᲣᲚᲘᲗ
ᲓᲐᲕᲚᲝᲪᲐᲕᲗ
ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲬᲔᲚᲝ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ
ᲛᲖᲘᲐᲜᲡ,
ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ
ᲐᲙᲝᲪᲐ,
ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ
ᲰᲥᲕᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲬᲔᲚᲛᲐ, 1961 ᲬᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲦᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲘ! ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲗᲔᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ!

— ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ!... ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ!..

ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲛᲐ ᲬᲔᲚᲛᲐ, ᲓᲘᲐᲓᲘ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲔᲚᲛᲐ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲢᲐᲜᲐ ᲛᲠᲔᲜᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲔ�თᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲔᲑᲘ! ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ!... ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲘᲗ ᲛᲝᲪᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘ!...

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, 1960 ᲬᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲪ! ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ, ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲚᲔᲚᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡᲛᲝᲥᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲐ 1960 ᲬᲔᲚᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ- ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲮᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ 1960 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲖᲔ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲣᲓᲝ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲛ — „ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲩᲐᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡᲛᲝᲥᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲐ 1960 ᲬᲔᲚᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ- ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲮᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲨᲐᲚᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ 1960 ᲬᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲪ

მ ა თ ი მილოცვები დ ა სურვილები

ნ. კეცხოველი,

აკადემიკოსი.

საქართველოს სპორტსმენებსა და ფიზკულტურელებს, რომლებიც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთ მოწინავე რაზმში დგანან, მთელის არსებით მოვულოცავ საახალწლო დღესასწაულს და ვუსურვებ — უფრო ბრწყინვალე გამარჯვებებით ევლოთ დამღეგ — 1961 წლის გზაზე!

1960 წელი თქვენგან მოგვრილი ბევრი სიხარულისა და წყენის წელი იყო. ეს წყენა ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტის ჩამორჩენის გამო წყენა კი არ არის, არამედ — მისგან უფრო მეტის მოლოდინითა და მეტის მოთხოვნით გამოწვეული სინანული. დაე, ამ ახალ წელიწადს რაც შეიძლება ნაკლები განვიცადოთ ჩვენ, თქვენმა გულშემატკივრებმა და ქომაგებმა, ასეთი სინანული! დაე, ამ ახალ წელს თქვენი შემყურენი, თქვენი ქების მომსმენნი, მხოლოდ სიხარულს და სიამაყეს განვიცდიდეთ! სიხარულს და სიამაყეს განვიცდიდეთ იმის გამო, რომ უფრო მაღლა აიწევს ჩვენი მამულის სპორტული პრესტიჟი, იმის გამო, რომ საქართველო კვლავაც და უფრო მეტად დაიმსახურებს არა მხოლოდ მაღალინდუსტრიული, ბარაქიანი, მიწა-წყლის მქონე, მაღალკულტურული რესპუბლიკის სახელს. არამედ, ამასთან ერთად — დიდი სპორტული მიღწევების მქონე ქვეყნის სახელსაც!

მაშასადამე, ამ ახალ წელსაც, ჩვენი მუშებისა და კოლმეურნეების, ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მხარდამხარ, თქვენც უნდა სჯედდეთ, დაბეჯითებით უნდა იბრძოდეთ ჩვენი სამშობლოს დიდებისა და ღირსებისათვის.

გ. მერკვილაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ყველაფერს თავისი მომავალი აქვს. მომავალს კი რწმენით, იმედით შეყურებს ყველა.

ჩვენს შემოქმედებითს შრომას, ჩვენს მეცნიერებას, ტექნიკას, ხელოვნებას, სპორტს — თავისი მომავალი აქვს. და ეს მომავალი თქვენა ხართ, ჩვენო საყვარელო ახალგაზრდობავ, მოსწავლეებო! ამიტომაც თქვენ შემოგყურებთ რწმენით, იმედით არა მარტო თქვენი მშობლები, არამედ — თქვენი აღმზრდელი მასწავლებლებიც, თქვენი სკოლაც, ყველა მშრომელი, რესპუბლიკა, მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა.

მაგრამ, წარმატებები, გამარჯვებანი უცბათ არ მრდის არც ერთ დარგში. [illegible] ასაკში ისახება.

ახალი წელი, 1961 წელი, ამავე დროს, თქვენი უახლოესი სპორტული მომავლის წელია! 1961 წელს გაიმართება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, სადაც თქვენ საშუალება მოგეცემათ დაუმტკიცოთ ყველას, ვინც კი იმედითა და რწმენით შემოგყურებთ თქვენ, რომ თქვენ ჩვენი სპორტის ღირსეული მომავალი ხართ.

ამ დიდ გამარჯვებას გისურვებთ სწორედ ახალ, 1961 წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვაჭრობა“ ... ვაჭრობა

... ...

ქალაქის სიყვარული ერთია, შეხალლებლობათა გამოყენებისათვის ხაჭირო ობიექტური პირობები კი— მეორე... ქარხანაში სამიოდე სექცია მოქმედებდა — ფეხბურთის, ჭადრაკის და ფრენბურთის, მაგრამ ამათთვისაც არ იყო სათანადო ბაზები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ნამდვილი, სერიოზული წვრთნა. აქაური სპორტსმენები „ველური განრიგით“ ვარჯიშობდნენ — სადაც მოხვდებოდათ... როგორც შეძლებდნენ...

ასე იყო... მაგრამ მარტო ის ამბავი, რომ ახალგაზრდობა ბუზიგით ეტანებოდა ამ თითებზე ჩამოსათვლელ სექციებსაც კი და ასეთ პირობებშიც გატაცებით ვარჯიშობდა, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებდა. ამის შესახებ ბევრჯერ უსაუბრიათ ერთმანეთთან და სათანადო გეგმებიც დაუწყვიათ ქარხნის ფიზკულტურის საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს — ნიკოლოზ მიხაილოვს და ფიზკულტურის ინსტრუქტორს — ელენე ჰასანოვას. შემდეგ ამ საუბრებმა დირექტორის მოადგილესთან — რაფიელ ულენტთან გადაინაცვლა, მერე დირექტორთანაც — ალექსანდრე მელაძესთან...

1950 წელსვე, დირექციის, კომკავშირის კომიტეტის და ფიზკულტურის საბჭოს ერთიანი ღონისძიებით დაიწყო ქარხნის სპორტული ბაზის მშენებლობა! და ამავე წელს უკვე ხაექსპლოატაციოდ გადაეცა ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები!

ბაზების საკითხი, ასე თუ ისე, ნაწილობრივ მაინც მოგვარდა. სექციური მუშაობისათვის რეალური საფუძველი შეიქმნა. მაგრამ, ეს არ იყო ყველაფერი. საჭირო იყო ფიზკულტურული კადრები: მწვრთნელები, მსაჯები, სექციების ხელმძღვანელები. ყველაფერი ეს საზოგადოებრივ საფუძველზე უნდა შექმნილიყო, გარედან კვალიფიციური დახმარების ყოველგვარი იმედის გარეშე, რადგან ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელიც სპორტსაზოგადოება „როდინას“ ეკუთვნოდა, რესპუბლიკური საბჭო არ გააჩნდა — იგი ექვემდებარებოდა ცენტრალურ საბჭოს, რომელიც ორი ათასამდე კილომეტრით იყო დაცილებული მას.

მაგრამ, ხალხმა მაინც დაიწყო... დაიწყო პატარა, მოკრძალებული ნაბიჯები: 1950 წელს — საჭადრაკო პირველობა, რომელშიც ყველა საამქრო იღებს მონაწილეობას; ბლიც-პირველობები ფრენბურთში, კალათბურთში...

შემდეგ პატარა „შეთქმულებაც“ ჩაისახა ფიზკულტურის საბჭოს ახალი თავმჯდომარის — რაფიელ ულენტის კაბინეტში.

— ქარხანაში სულ მალე უნდა დაიწყოს ხანძარსაწინააღმდეგო აუზის მშენებლობა, — შეატყობინა დირექტორის მოადგილემ ე. ჰასანოვასა და ნ. მიხაილოვს, — როგორ ფიქრობთ თქვენ, ფიზკულტურის სპეციალისტები, არ შეიძლება ეს მშენებლობა ფიზკულტურული კოლექტივის საჭიროებასაც შეუთავსოთ? რა განსხვავება იქნება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო აუზს საცურაო აუზის ფორმა ექნება?..

ეს იყო მშვენიერი იდეა, რომელსაც სიამოვნებით დაუჭირა მხარი ქარხნის ხელმძღვანელობამ და რომელმაც თანდათანობით დაიწყო ხორცშესხმა საწარმოს ტერიტორიაზე მუშაობისაგან თავისუფალ დროს მოწყობილი შაბათობების მეოხებით, ფიზკულტურული ახალგაზრდობის ხმაურის, ბულდოზერების ექსკავატორებისა და ავტომანქანების ღრჭიალის ფონზე...

მაგრამ 1951 წლის სპორტული სეზონი ისე მოვიდა, რომ ეს სამუშაოები ჯერ კიდევ ახლად დაწყებული იყო წინ იყო თბილისის საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების ტრადიციული სპარტაკიადა, ხოლო ქარხნის ზოგიერთი სპორტული სექცია უკვე იმდენად იყო მომაგრებული, რომ სხვებთან ძალების გასინჯვაც ეწადა. მაგრამ, სპარტაკიადის პროგრამაში მხოლოდ ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი და ჭადრაკი როდი შედიოდა. სად მოემზადებინათ მოცურავეები, როცა ჯერ აუზი მზად არ იყო? მძლეოსნები? სად მოენახათ საამისო მწვრთნელები?

— მაინც ვცადოთ! — თქვა ჰასანოვამ, — მძლეოსნობაში მე თვითონ შევეცდები ხალხის მომზადებას. ცურვაში კი — უფროსებს მივმართოთ დასახმარებლად...

მეორე დღეს მან ყველა საამქრო დაიარა.

— ვინ იცის აქ კარგი ცურვა?— კითხავდა ის მუშებს, — ვის ერჩის გული სირბილში და ხტომაში შეჯიბრებაზე გამოსასვლელად?

მან მსურველთა ხია ჩამოწერა. მაგრამ, სად ევარჯიშათ მოცურავეებს?

— მტკვარზე! — ანუგეშებდნენ ელენეს მოცურავეები, — ნუ გეფიქრებათ, ჩვენ ყველანი მტკვარზე გავიზარდეთ...

მაგრამ, მხოლოდ ასეთი „ველური“ წვრთნა არ აწყობდა ხელმძღვანელობას და იმ დღიდან დაიწყო ტელეფონით რეკვა ხან კომკავშირის კომიტეტის მდივნის — ვ. კაჭარავას, ხან კი თვით დირექტორის — ა. მელაძის კაბინეტებიდან ქალაქის სხვადასხვა საწყლოსნო აუზში, თხოვნით, მცირე თავისუფალი დრო მაინც გამოენახათ მათ ბაზაზე ხ. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოცურავეების შესაშვებად და სავარჯიშოდ.

ეს წელი 1951 წელი იყო, კიროველი ფიზკულტურელების პირველი სერიოზული წარმატების წელი. მათ დედაქალაქის საწარმოთა შორის III საპრიზო ადგილი მოიპოვეს!.. მაგრამ პირველი წელი, რომლებსაც აქაური სპორტსმენები მახობრივი ფიზკულტურის ნამდვილ, ფართო გზაზე გასვლის თარიღად თვლიან, იყო 1953 წელი. ამ დროისათვის მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული ბაზებიც — საცურაო აუზი წყალში სახტომი კოშკით, ძალოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის ოთახები, ტირი... და ყველაფერი ეს — საკუთარი ძალებით, საზოგადოებრივ საწყისებზე! საკუთარ ძალებზე, საზოგადოებრივ საწყისებზე ალმოცენდა მწვრთნელთა და მსაჯების ფართო და საკმაოდ კვალიფიციური კონტიგენტიც, რომელიც აქ ჩატარებულ შეჯიბრებებსა და საწვრთნელი მეცადინეობების დროს გამოიბრძმედა.

საწარმოს ფიზკულტურულ ცხოვრებაში მომხდარმა ამ თვისობრივმა ცვლილებამ 1953 წლის საქარხნო სპარტაკიადაზეც იჩინა თავი, რომელიც ნამდვილ ფიზკულტურულ ზეიმად გადაიქცა: სადღესასწაულოდ მორთული საამქროები და სპორტული ბაზები... პლაკატები, ტრანსპარანტები... სპორტულ ფორმებში გამოწყობილი ფიზკულტურელთა კოლონები, რომლებიც მწყობრი ნაბიჯით მიემართებიან ფეხბურთის მოედნისაკენ... ალღუმი... დროშა მიიწევს ანძისაკენ!..

ეს იყო ნამდვილი სპორტული ღონისძიება, რომელიც ღირსეულ, ძლიერ ფიზკულტურულ კოლექტივს შეშვენის! ამავე დროს, ეს იყო ქარხნელი ფიზკულტურელებისათვის სპორტული ოსტატობის გაზიარების ნამდვილი სკოლაც, რამდენადაც სპარტაკიადის მსვლელობის დროს საწარმოს ბაზებზე გამოდიოდნენ საგანგებოდ მოწვეული რესპუბლიკის უძლიერესი წყალში მხტომელები, მოცურავეები, ფრენბურთელები და თავიანთ გამოცდილებას პრაქტიკულად უზიარებდნენ აქაურ მოყვარულებს.

ამ წლიდან მოყოლებული, კიროვის სახელობის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი სულ უფრო მრისხანე მეტოქე ხდებოდა ქალაქის ტრანსპორტის სამმართველოსა და „ისანის“ ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივებისათვის, რომლებსაც განუყოფლად ეპურათ ხოლმე დედაქალაქის საწარმოთა სპარტაკიადებზე პირველი და მეორე ადგილები. კიროველებისათვის კი ამ წლების მანძილზე „ტრადიციულად“ იქცა მესამე ადგილი.

მაგრამ, არ შეიძლებოდა იმ დიდ შრომას, იმ დიდ მონდომებასა და ენთუზიაზმს, რომელიც აქაურ ფიზკულტურულ ცხოვრებაში ჩქეფდა წლებისავე მანძილზე, თავისი კანონზომიერი შედეგიც არ მოჰყოლოდა.

და იგი მოვიდა! იგი მოვიდა ჯერ 1958 წელს, როცა კიროველებმა პირველად დაიკავეს საქალაქო სპარტაკიადაზე მეორე ადგილი, ხოლო შემდეგ — 1960 წელს, როცა მათ ამავე ასპარეზობაში პირველად შედგეს ფეხი გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე...

* * *

ეს მოხდა სულ ახლახანს: კიროვის სახელობის ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ე. ჰასანოვა მოხსენების პროექტს უკითხავდა თავის ძველ „საბრძოლო კოლეგებს“ — ფიზკულტურის საბჭოს ათი წლის სტაჟიან თავმჯდომარეს, საწარმოს დირექტორის მოადგილეს რ. ულენტს, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნ. მიხაილოვსა და კომკავშირის კომიტეტის მდივანს ბ. შარაშიძეს.

— ... საწარმოს ფიზკულტურულ კოლექტივში, — წუნარი ხმით კითხულობდა ჰასანოვა, — მოქმედებს ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის, ველოსპორტის, კლასიკური, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის, ალპინიზმისა და ტურიზმის სექციები. ყოველ სექციასთან შექმნილია ბიუროები, აგრეთვე — მსაჯთა კოლეგიები.

ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელიც 1086 წევრს აერთიანებს, ჰყავს ხუთი „საკუთარი“ ოსტატი: ტ. ინწკირველი, ვ. რადიმაშვილი, კ. პროზოროვი, ნ. ინჯგია და ო. მაკაროვი, 96 პირველთანრიგოსანი, 230 მეორე და 464 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი.

მას ოთახში შემოსულმა ფოსტალიონმა შეაწყვეტინა:

— დეპეშა!.. — დაიძახა მან და მაღლა ასწია ქაღალდი, — სამახარობლო დეპეშა!..

დეპეშა მოსკოვიდან იყო. მასში ეწერა: „ფიზკულტურახა და სპორტში მოპოვებული ბადალი შედეგებისათვის კიროვის სახელობის ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივს ენიჭება სპორტკლუბის წოდება! მოგილოცავთ...“

დანარჩენი სიტყვები დამსწრეთა აღფრთოვანებულმა შეძახილებმა დაფარა!.. რამდენიმე წუთში დეპეშის შინაარსმა ყველა საამქრო შემოიარა და მალე სახელდახელო საქარხნო მიტინგის მსჯელობის საგანიც გახდა...

ეს მოხდა განვლილი წლის უკანასკნელ თვეში! ახალ წელს ქარხნის სპორტსმენები შესანიშნავი გამარჯვებით შეხვდნენ და თავიანთ სპორტკლუბსაც „გამარჯვება“ შეურჩიეს სახელად!

კიროველები დიდი სპორტის [illegible] რაგზაზე გავიდნენ!

ვუსურვოთ მათ — კვლავაც მრავალ ახალ წელს შეხვედროდნენ ასეთი შესანიშნავი გამარჯვებებით!

ვ. ჯულელ



ათი უძლიერესი

საბჭოთა კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციამ მოაწყო საახალწლო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა 10 უძლიერესი სპორტსმენის გამოვლინებას 1960 წლის სეზონის შედეგების მიხედვით. აი ისინიც:

1. იური ვლასოვი (ცსკა) — ძალოსნობა.
2. ბორის შახლინი („ბურევესტნიკი", კიევი) — ტანვარჯიში.
3. პეტრე ბოლოტნიკოვი („სპარტაკი", მოსკოვი) — მძლეოსნობა.
4. ვიქტორ კაპიტონოვი (ცსკა)— ველოსიპედი.
5. ევგენი გრიშინი (ცსკა) — ციგურაობა.
6. რობერტ შავლაუაძე („დინამო", თბილისი) — მძლეოსნობა.
7. ლარისა ლატინინა („ბურევესტნიკი", კიევი) — ტანვარჯიში.
8. მიხეილ ტალი („ბურევესტნიკი", რიგა) — ჭადრაკი.
9. ვალერი ბრუმელი („ბურევესტნიკი", მოსკოვი)—მძლეოსნობა.
10. თამარა პრესი („ბურევესტნიკი", ლენინგრადი)—მძლეოსნობა.





ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მსოფლიო რეკორდსმენი ძალოსნობაში ი. ვლასოვი ისვენებს კურორტ ლესელიძეში. იგი აქაც ვარჯიშობს და თავის კოლეგებს გადასცემს გამოცდილებას. მარცხნივ—ბაკურიანის საციგურაო.

სეზონის პირველი გამარჯვება

ამ დღეებში ლენინგრადის დიდ ტრამპლინზე გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება კოვგოლოვოს ახალგაზრდული სპორტული სკოლის პრიზზე. სტარტზე გამოვიდა 58 სპორტსმენი.

პირველ ცდაზე უველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ლენინგრადელ ე. გროზინს, რომელიც 67,5 მეტრზე გადახტა და 5 მეტრით აჯობა უახლოეს კონკურენტს ბაკურიანელ კ. წაქაძეს. სამაგიეროდ შემდეგ ცდაზე კ. წაქაძემ საგრძნობლად გასწორა უველას, გადახტა 66,5 მეტრზე, მესამე ცდით აჩვენა 63,5 მეტრი, მოაგროვა 215,5 ქულა და მოიპოვა ზამთრის ახალი სეზონის პირველი გამარჯვება. მეორე ადგილზე გამოსული ე. გროზინი მას 7,5 ქულით ჩამორჩა, მესამე იყო დ. კოჩკინი.

შეჯიბრების შემდეგ შედგა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კ. წაქაძე, ნ. კამენსკი, ნ. შამოვი, ვ. ივანიკოვი, ი. ზუბარევი და სხვები, რომლებიც 27 დეკემბერს გაფრინდნენ გფრ-ში ოთხი ტრამპლინის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გფრ-სა და ავსტრიაში გაიმართება.

ციგურებით დაიხაზა ყინული

ბაკურიანიდან სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს ორი ტბა, რომელიც „ხაკვებს" მხოლოდ თოვლის ნაუურიდან ღებულობენ. მათი სიღრმე შემოდგომის მიწურულში 2-3 მეტრს აღწევს. ერთი ამ ტბათაგანი აირჩიეს რესპუბლიკაში პირველი ბუნებრივი საციგურაოს მოსაწყობად. იგი ზამთარში 20-25 სანტიმეტრის სისქის ყინულით იფარება, რაც ციგურაობისათვის საკმარისია.

მაგრამ ტბის გაყინვა არ არის საკმარისი, საჭიროა მისი ზედაპირის მოსწორება-მოკრიალება. ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ბაკურიანელებმა ნ. მიქაბერიძის, ლ. ფანჯაკიძის, მ. კოზანაშვილის ხელმძღვანელობით და ახალი წლისათვის მწყობრში ჩადგა რესპუბლიკაში პირველი საციგურაო ჰოკეის მოედანი.

საქმე ამით არ დამთავრებულა. საციგურაოსთან მოეწყო ბინა სპორტსმენებისათვის. მართალია, იგი დროებითია, მაგრამ პირველი დღეებისათვის სავსებით საკმარისია. მას შემდეგ, რაც პირველმა საციგურაომ მოლოდინი გაამართლა, გადაწყდა მისი შემდგომი კეთილმოწყობა და გაფართოება. ახლა აქ მუშაობენ გეოდეზისტები, მიმდინარეობს ადგილის ყოველმხრივ შესწავლა და უკვე მომავალი წლიდან გვექნება საციგურაო 400-მეტრიანი ბილიკით. ტბის სანაპირო ფერდობზე აღიმართება ტრიბუნები მაყურებლებისათვის.

საციგურაოზე პირველი რიგის სამუშაოების დამთავრებისთანავე მას ეწვევნენ მისი პირველი მფლობელები — საქართველოს ფიგურისტები. 30 ფიგურისტი მეცადინეობს ახლა აქ. მათ შორის ბევრია ოსეთები, რომლებმაც უკვე საკმაოდ აითვისეს ძირითადი ელემენტები და ახლა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატისათვის ემზადებიან, რომელიც აქვე „ყურუსების" მიდამოებში (ასე ეძახიან ამ ტბის მიდამოებს) ჩატარდება 23-24 იანვარს და გამოავლენს პირველ ჩემპიონებს. ამ საპატიო სახელს მწვრთნელები უწინასწარმეტყველებ ენ ზ. ალავიძეს, ა. მამაცაშვილს, ნ. სირაძეს და სხვებს; თუმცა აქვე დასძინეს, რომ დარჩენილ დროში ნაყოფიერი ვარჯიშით სხვებსაც შეუძლიათ თქვან თავიანთი სიტყვა.

დღეიდან ბაკურიანი მარტო სათხილამურო ბაზა როდია, არამედ იგი მოციგურეებსაც ეკუთვნით და ივარჯიშებენ, ერთმანეთს შეჯიბრებიან არა მარტო „ყურუსების" ტბაზე, არამედ „დინამოს" ბაზისა და პარკის საციგურაოებზედაც, რომელთა მოსწორება უკვე დამთავრდა და ახლა წყლის გაყენვაა საჭირო.

იმედია ჩვენი მოციგურავეები საახალწლო საჩუქარს უნარიანად გამოიყენებენ და მომავალ შეჯიბრებაზე ქართულ ტემპერამენტსა და ქოროგრაფიულ ნიჭს გამოავლენენ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

გასული წელი უდიდესი შეჯიბრებათა წელი იყო, რომლის გვირგვინს XVII ოლიმპიური თამაშები წარმოადგენდა. სწორედ აქ, მთელი მსოფლიოს თვალწინ დაამტკიცეს საბჭოთა ფიზკულტურელებმა სპორტსმენებმა თავისი უძლეველობა, დაამტკიცეს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ჩვენი წამამული სპორტი ვითარდება ეროვნულ და ნამდვილი გზით.

გამარჯვებათა გამარჯვება! ასე შეარქვეს უცხოეთში რობერტ შავლაუაძის გამოსვლას, რომელიც დიდხანს ლეგენდათ დარჩება ოლიმპიური თამაშების მატიანეში. ქართველი მძლეოსნის, რობერტ შავლაუაძის ოქროს მედალი იყო უველაზე დიდი და ძვირფასი ჯილდო რომელიც კი მიუღია გამარჯვებულ სპორტსმენს „მუდმივ ქალაქში". მაგრამ შავლაუაძე არ იყო ოლიმპიური გამონაკლისი იმ ქართველ სპორტსმენთა რიგებში, რომლებიც თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ შორეულ პარნეის მიწაზე. აქ იყო ავთანდილ ქორიძეც— ოქროს მეორე მედალისანი და კარტოზიების და ბალავაძეების საგმირო საქმეთა გამგრძელებელი. აქ იყო ჩვენი ქართული სპორტის ვერცხლის ფონდი — სხირტლაძის, მინაშვილის, ჩიქვანაიას, გოგოლაძის და უგრეხელიძის სახით. უველაფერი ეს კი ერთად აღებული წარმოადგენდა იმ ფასდაუდებელ წვლილს, რომელიც საქართველოს სპორტსმენებმა შეიტანეს ჩვენს საერთო გამარჯვებაში.

მაგრამ განა მხოლოდ ამით ამოიწურება ქართული სპორტის ძალა, მისი ოქროსა და ვერცხლის მარაგი? განა ბრწყინვალე წარმატება არ იყო საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა გამარჯვება საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში? განა სტუდენტთა სპორტის უწრეტ პოტენციაზე არ მეტყველებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი ადგილი საკავშირო თამაშებში?

ჩვენ დღესაც თვალწინ გვიდგას თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ბრწყინვალე გზა საბჭოთა კავშირის თასის ფინალამდე და შემდეგ თვით ფინალური მატჩი— სეზონის ერთ-ერთი უველაზე უფრო ლამაზი და შინაარსიანი პრძოლა და უველაზე უფრო სასიხარულო ის არის, რომ ევროპის თასის მფლობელთა მიხეილ მესხისა და გივი ჩოხელის გვერდით მოსკოველ მაყურებლებს შესანიშნავი თამაში აჩვენეს ბარქაიამ და იამანიძემ, კოტრიკაძემ და კალევამ, ჩელაშვილმა და თორაძემ, „დინამოს" მთელმა კოლექტივმა — ქართული ფეხბურთის იმედმა და სიამაყემ.

უდავოდ წარმატებათა წელი იყო გასული სეზონი ჩვენი კალათბურთელებისა და წყალბურთელებისათვის. ვერცხლის წვეთა იმ გრძელი და რთული გზის ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენდა, რომელიც კალათბურთელებმა და წყალბურთელებმა განვლეს საპრიზო მეორე ადგილამდე.

კმაყოფილების გრძნობით აღნიშნეს რესპუბლიკის მშრომელებმა ქართული აღპინიზმის ორი გამარჯვება 1960 წელში. ერთ-ერთმა მთგანმა — ხულუმართისა და ინიერალაის ქედების ტრავერსმა მიაღო უმაღლესი შეფასება, ხოლო ექსპედიციის წევრებმა ლ. ახვლედიანმა, ზ. ახვლედიანმა, ჯ. მეძმარიაშვილმა, ბ. ჩერგიანმა, ი. გაბლიანმა, თ. კუხიანიძემ, დ. დანგაძემ, დ. გუგავამ, ო. ბერიძემ, ს. გუგავამ, ა. ახვლედიანმა, გ. კობიძემ — ოქროს მედლები.

გასული აღპინისტური სეზონის წარმატებათა სიაში შევიდა ქართველი აღპინისტების ტექნიკურად რთული ასვლა დასავლეთ ჯანღზე ო. ხაზარაძეს, შ. მირიანაშვილს, ა. ძიძიგურს, გ. ბერძენიშვილს, ნ. ნადირაშვილს, ი. მანგაძეს გადაეცათ ვერცხლის მედლები.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონების საპატიო ტიტულს ატარებენ ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეები მერაბ ღუდუშაური, ავთანდილ ქორიძე, დავით გვანცელაძე, როსტომ აბაშიძე, გოგი სხირტლაძე, ოთარ კანდელაკი, საბისტი ზაქრო მუხიაშვილი, საბჭოთა ძალოსნების ვეტერანი, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი რაფიელ ჩიმიშკიანი.

შესანიშნავი შედეგებით დაამთავრეს სპორტული წელი ქართველმა მოფარიკაველებმა, რომელთა შორის სამმა: გ. კოსტავამ, ი. ოსიპოვმა და ნ. ასათიანმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი. მსროლელმა შ. ქველიაშვილმ, რომელმაც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი, მოთხილამურემ კ. წაქაძემ — საკავშირო პირველობის მეორე პრიზიორმა და სხვ.

დადგა 1961 წელი. ვაკანტურია ადგილები საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონების წოდებებზე. იწყება ახალი და შეუპოვარი ბრძოლა ამ ვაკანსიათა შესავსებად. და ჩვენ სრულ რწმენას გამოვთქვამთ, რომ საქართველოს სპორტსმენები საგულდაგულოდ ჩაებმებიან ამ ბრძოლაში, რათა ერთი-ორად გაზარდონ რესპუბლიკის სპორტულ წარმატებათა ოქროსა და ვერცხლის ფონდი.

ნ. ᲑᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

20 ᲬᲔᲚᲘ



ამ ჰაბუკს, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის III კურსელს ა. ფარულავას სწორედ დღეს შეუსრულდა 20 წელი და ლირსეულადაც აღნიშნა იგი სპორტულ სარბიელზე — ოსტატობა მოიპოვა.

55-ე სკოლის VIII კლასში იყო მაშინ, როცა ნ. ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით ტანვარჯიშში დაიწყო მეცადინეობა. წლები გადიოდა. დაუღალავად მუშაობდნენ აღმზრდელი და აღსაზრდელი, თანდათან იხვეწებოდა ოსტატის პროგრამის უველა ელემეი და აი, საქართველოს უკანასკნელ პირველობაზე ა. ფარულავამ პირველად მოაგროვა ოსტატობისათვის საჭირო ქულები და შეუვანილ იქნა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში. არც აქ შეურცხვენია თავი მას.

კიევში ჩატარებულ საუწყებათაშორისო საკავშირო პირველობაზე, სადაც იგი ჰაბუკებში გამოდიოდა სავალდებულო ვარჯიშების უკანასკნელ სახეობამდე ლიდერობდა, ტაიჭზე წაიფორხილა და IV ადგილზე გამოვიდა.

მისი სპორტული კარიერა ახლა იწყება, წინ ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ნიჭიერ ჰაბუკს და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სულ მალე მტკიცედ ჩადგება რესპუბლიკის წამყვან ტანმოვარჯიშეთა რიგებში.

ᲚᲔᲚᲝ
მე-3 გვ. № 1 (1637)

პირველი წრის შემდეგ

დამთავრდა უნგრეთის 1960-61 წლების ჩემპიონატის გათამაშების პირველი წრე. ჩემპიონატში, როგორც ყოველთვის 14 უძლიერესი კლუბი მონაწილეობს. ჯერჯერობით პირველ ადგილს ინარჩუნებს გასული წლის ჩემპიონი „დოჟა“ (უიპეშტი), რომლის შემადგენლობაში გამორჩევიან მეკარე ტერეკი (გაუშვა ბურთების ყველაზე ნაკლები რაოდენობა — 12), ცენტრალური მცველი ვარჰიდი (რომელიც მეორე ნაკრებში თამაშობს) თავდამსხმელები გერეში (№ 8) და უნგრული ფეხბურთის ვეტერანი, 37 წლის სუსა (№ 9). მეორე ადგილზეა „ვაშაში“ (ბუდაპეშტი), რომელიც ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. ამ გამოცდილ კოლექტივს მეტად შედეგიანი თავდასხმა ჰყავს. ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგა ცნობილი ცენტრფორვარდი მახოში, რომელიც ისევ იქნა შეყვანილი უნგრეთის ნაკრებში. დიდ იმედებს იძლევა 17 წლის ფარკაში (№ 10), რომელიც დიდად შედეგიანი ფორვარდია. გუნდს ჰყავს გამოცდილ ნახევარმცველთა წყვილი ბუნჯაკი-ბერენდი. დიდად მოულოდნელი იყო პროვინციული „შალგოტარიანის“ წარმატება (მესამე ადგილი), რომელსაც ნაკრების არც ერთი მოთამაშე არ ჰყავს, მაგრამ გამოირჩევა დიდი საბრძოლო სულისკვეთებით.

როგორც ყოველთვის, ცხარე ბრძოლა გაიმართა სნაიპერთა შორის. უკანასკნელ ტურის წინ ლიდერობდა ახალი ფიგურა უნგრელ ფეხბურთში, „გიორის“ ცენტრფორვარდი ვარი (10 ბურთი), რომელსაც მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩებოდა „ჰონვედის“ და ეროვნული ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ტიხი. არსად ჩანდა გასული სეზონის ყველაზე უფრო შედეგიანი თავდამსხმელი „ფერენცვაროშის“ და ეროვნული ნაკრების ცენტრფორვარდი ალბერტი, რომელსაც 12 თამაშში მხოლოდ 5 ბურთი ჰქონდა გატანილი. პირველი წრის ბოლო ნასკნელ მატჩში „დებრეცენთან“ მაყურებლებმა იხილეს „ფელი“ ალბერტი, რომელიც დიდი აღმავლობით თამაშობდა. მან შეძლო 6 (!) ბურთის გატანა, ერთი ბურთით გაასწრო ვარის და დაიკავა თავისი „ჩვეული“ ადგილი სნაიპერთა ცხრილის სათავეში.

მხოლოდ მეცხრე ადგილზეა გრძელჩიმ. „ტატაბანიან“ მეშახტეთა ამ კოლექტივის სულ დაცვას, არ შეეძლოს მიკარის საეცხოო თამაში, რომელიც ... ძალიან ... ტასტროფული მდგომარეობა აქვს ცნობილ „ჰონვედს“, რომელიც მეათე ადგილზეა და პირველად თავისი არსებობის ისტორიაში სახიფათო ზონის სიახლოვეს იმყოფება.

ჯენტლმენური სპორტის გეგეთი

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი ჯონ კენედი შეშფოთებულია. ერთკვირეულ სპორტულ ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედში“ მან ამას წინათ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია, რომელშიც ხაზს უსვამს უაღრესად სამწუხარო ფაქტს თავისი ქვეყნის სინამდვილეში. სტატიის ძირითადი აზრი მდგომარეობს შემდეგში: „ამერიკელთა ფიზიკური მომზადების მდგომარეობა უარესდება“.

მას შემდეგ, რაც კონსტატაციას უკეთებს ამ ფაქტს, ჯონ კენედი საზავს პროგრამას აშშ-ს მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის: თეთრ სახლთან უნდა შეიქმნას საგანგებო კომისია ფიზიკური აღზრდის დარგში, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამერიკელთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება, საჭიროა სასწავლო დაწესებულებებში სპორტის უკეთ კულტივირება, შტატების გუბერნატორთა ყოველწლიური მოწვევა ამ დარგის საკითხების გადასაჭრელად, პროპაგანდის ყველა საშუალების გამოყენება ამერიკელთა საერთო გაჯანსაღებისათვის.

ჯონ კენედის ამ საგანგაშო წერილზე ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ცნობილი ამერიკელი მილიონერის ეიმერი ბრენდეჯის ასეთი განცხადება: „რომ ბრწყინვალე ზანგი სპორტსმენები არა, ამერიკის შეერთებული შტატები მეორეხარისხოვან სპორტულ სახელმწიფოდ იქცეოდა“.



რაშია საქმე? რატომ მივიდა ამ დონემდე ქვეყანა, რომლის სპორტულ პრესტიჟს ათეული წლების განმავლობაში იოტის ოდენა ჩრდილიც არ დასდგომია, ახლა კი ეს ორი პატივცემული პრეზიდენტი საქვეყნოდ ღაღადებს სპორტში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობაზე. ამერიკულ გაზეთებში ამ მდგომარეობას ერთობ ორიგინალურად და მრავლისმეტყველად აღნიშნავენ: იხსენით ჩვენი სულები,

„SOS“

სხვა ფორმულის გამოძებნა ამ შემთხვევისათვის მართლაც, რომ ძნელია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპორტსმენები ჩაებნენ ოლიმპიურ თამაშებში, ამერიკულ სპორტს სახსნელად შეექმნა საქმე და ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოვლინდა რომის ოლიმპიადის შემდეგ, როცა საბჭოთა დელეგაციამ დიდი განსხვავებით ჩამოიტოვა უკან თავისი მთავარი კონკურენტი და ჩამოიტოვა არა მარტო საერთო გუნდურ ოფიციალურ ჩათვლაში, არამედ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვების მხრივაც.

მიზეზები მრავლადაა და მათ შორის ერთ-ერთი მთავარია პროფესიონალიზმი. ესაა ამერიკული სპორტის ნამდვილი უბედურება, რომელიც ყოველ წელს ახალ-ახალ შესანიშნავ სპორტსმენებს სტაცებს მოყვარულთა რიგებს და სამუდამოდ გადაჰყავს პროფესიონალიზმის ჯუნგლებში, სადაც გამეფებულია ბიზნესი, შანტაჟი, მაქინაციები. ყოველ წელს ქვეყნდება გამოჩენილ სპორტსმენთა გრძელი სიები, რომლებმაც ხელი მოაწერეს მაცთუნებელ კონტრაქტებს და სამუდამოდ დასტოვეს დიდი სპორტის სარბიელი.

უცხოურ გაზეთებში აქა-იქ გაისმის მორიდებული ხმები, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ როგორც თვით სპორტსმენები, ისე მათი დამქირავებლებიც, ცდილობენ გაამართლონ მთელი ეს უმგვანო კომერცია და ცოცხალი აღებ-მიცემობა, მაგრამ რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს იმ მოვლენას, როცა საქვეყნოდ განთქმული მძლეოსნები, კალათბურთელები, მოცურავეები, მოკრივეები და სხვანი იძულებული არიან წავიდნენ ოლიმპიურ ასპარეზიდან და თავიანთი ბრწყინვალე ნიჭი და მონაცემები შესწირონ საცირკო სანახაობებს, შესწირონ ისეთ უმგვანო სპექტაკლებს, როგორიცაა ადამიანის შეჯიბრება რბენაში ძაღლებთან, კურდღლებთან და ცხენებთან.





ასე დაჰკარგა ამერიკულმა სამოყვარულო ოლიმპიურმა სპორტმა ოდესღაც ფენომენალური მოცურავე ჯონი ვეისმიულერი, მძლეოსანი ჯესი ოუენსი, შტანგისტი პაულ ანდერსონი და მრავალი, მრავალი სხვა.

ასე იკარგება ახლა ახალი ბრწყინვალე სახელები, რომლებიც საერთაშორისო სპორტის სიამაყეს წარმოადგენენ. აი ამონაწერები უცხოური გაზეთებიდან:

„ეპიპი“ (საშრანგეთი): „რაფერ ჯონსონი, ოლიმპიური ჩემპიონი ათჰიდში, წარსდგება სტუდია „XX საუკუნის“ კინოაპარატის წინაშე. შავ გიგანტს გადაიღებენ ბრიტანეთის არმიის ჯარისკაცის როლში ბურებთან ომის დროს. ასეა განზრახული სერიის პირველი ფილმი, სადაც ითამაშებს რ. ჯონსონი. მან 7 წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს“.

„იუსის“ სანტიაგო (აშშ): „ერთერთმა უდიდესმა ამერიკელმა სპრინტერმა დასტოვა მძლეოსნობა. რეი ნორტონი, დიდი და მოხდენილი ზანგი სან-ჰოზეს უნივერსიტეტიდან დაუბრუნდა თავის „პირველ სიყვარულს“ — ამერიკულ ფეხბურთს და ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიულ კლუბთან „სან-ფრანცისკო ფორტ ნაინთან“. რეი ნორტონი მიიღებს დაახლოებით 8.000 დოლარს წელიწადში“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ (აშშ): „ჰოლივუდმა ექსპროპრიაციის სახით გაიტაცა ბრწყინვალე მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში დონალდ ბრეგი. მას გადაიღებენ ტარზანის ახალი სათავგადასავლო ფილმების თავბრუდამხვევ სერიაში“.

ასევე გამოეთიშნენ დიდ სპორტს და დაადგნენ კომერციისა და ბიზნესის მოლიპულ გზას 1960 წლის ოლიმპიური გმირები, თარჯრბენის განუმეორებელი ოსტატი გლენ დევისი (აშშ), გერმანელი სპრინტერი არმინ ჰარი, რომელმაც პირველად სპორტის ისტორიაში მოაცილა 100 მეტრზე რბენაში 10 წამს ყოველგვარი მეათედები, მისი თანამემამულე კარლ კაუფმანი და სხვანი და სხვანი.

ოდესღაც, შუა საუკუნეებში დიდ საზღვაო გზებზე სავაჭრო ქარავნებს შიშის ზარსა სცემდა მრისხანე მეკობრე „მფრინავი ჰოლანდიელი“. ახლა, ჩვენს დღეებში ასეთივე რიხვად მოევლინა საჩოგბურთო სამყაროს ამერიკელი ბიზნესმენი ჯეკ კრამერი. იყო დრო, როცა ჯეკ კრამერი ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა ჩოგბურთის ცისკიდურზე და ეს „ვარსკვლავი“ ამოვიდა კიდეც 1947 წელს, როცა მან მოიგო უიმბლდონის ტურნირად წოდებული უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრება ჩოგბურთში. მაგრამ ჯ. კრამერი არა მარტო ბრწყინვალე ჩოგბურთელი იყო, არამედ ასეთივე საქმოსანიც. მან უძლიერეს ჩოგბურთელთაგან შეადგინა ე. წ. „კრამერის ცირკი“ და ახლა ნამდვილ სპექტაკლებს მართავს მსოფლიოს უდიდესი ქალაქების კორტებზე. საკმარისია სადმე გამოჩნდეს ახალი ნიჭიერი მოთამაშე, ახალი სახელი და ჯეკ კრამერი წამსვე მეკობრესავით მოევლინება იქაურობას, რათა მოყვარულთა რიგებს მოსტაცოს კიდევ ერთი ტალანტი და გადატყორცნოს თავის პროფესიულ ცირკში. ასე დაჰკარგეს შესანიშნავი ჩოგბურთელები ავსტრიელებმა, სადაც ჯ. კრამერს თავისი მუდმივი აგენტები ჰყავს საგანგებოდ „აკრედიტებული“.

ასე გაღარიბდა კანადის ჰოკეიც, სადაც არა მარტო ცალკეული მოთამაშეები, არამედ მთელი გუნდები „ბითუმად“ გადადიან პროფესიონალებში. კანადის სახელს ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიო ჩემპიონატებში ვეღარ დაიცავენ „ბელვილ მაფარლანდსი“, „უიტბი დანლოპსი“, „კიტჩენერ დატჩენი“ და სხვანი. ეს გუნდები დღეს უკვე პროფესიონალთა ლიგაში თამაშობენ.

1960 წელი რომის ოლიმპიადის პერიოდს წარმოადგენდა. დაიწყო 1961 წელი. წინაა უდიდესი შეჯიბრებები, საინტერესო ასპარეზობანი წინაა ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. საბჭოთა სპორტსმენები, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმომადგენლები გაცხოველებით ეზადებიან ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად, უცხოეთში კი ყოველ ახალი წელი აღინიშნება ახალი დანაკლისით გამოჩენილ სპორტსმენთა შორის, ვინაიდან ის, ვინც გადაღ... პროფესიონალებში ნამდვილი სპორტისათვის სამუდამოდ დაკარგ... ლია.

ბ. ქიქოძე

სურათებზე: ქვევით — ასეთი იყო შესანიშნავი ზანგი სპრინტერი — რეი ნორტონი. (მარჯვნივ) რეი ნორტონი დღეს უკვე პროფესიონალია და ამერიკულ ფეხბურთს თამაშობს. მარცხნივ — კრამერის ცირკის ჩოგბურთელები თამაშის დროს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამოშვების — 3-01-06.

1 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01957